

ავტორი: ლუბა ელიაშვილი

ჟანრი: პოეზია

გამოქვეყნების დრო: 2017-11-06 19:04:10

აუტორინგი ანუ თვითშთაგონება

დაეჭვდი, როცა გეუბნებიან -
"მართალი მხოლოდ ერთი მხარეა".
არ ენდო იმას, ვინც მოინდომებს
მშვიდი ცხოვრების არე-დარევას.
რიდით ან ხათრით ნუ დათანხმდები
სხვისი გვირგვინის თავით ტარებას.
რა ბედენაა სიყვარული,
ურთიერთობის ბედნიერება თუ მას
არ ახლავს, შენთვის რა არის?
საუკეთესოდ, გამორჩეულად
შენსავით, რასაც სხვა ვერ აკეთებს,
იმის კეთება არის მთავარი.
ის შეიშეენე, რაც მართლა გშეენის.
ლაზათით ფლანგე ცხოვრება შენი.
ამ დროში, რაკი გარდაუვალ
კატაკლიზმებს გადარჩენიხარ,
დატკბი სიცოცხლის
სიხარულით - ის ხომ შენია..